სადოქტორო პროგრამა - ფსიქოლოგია

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	ფსიქოლოგია Psychology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის დოქტორი PhD in Psychology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი- 50 კრედიტი (ECTS)** მათ შორის: 1. **სავალდებულო სასწავლო კომპონენტები შეადგენს 40 კრედიტს (ECTS) :** • დარგობრივი სემინარი (10 კრედიტი) • პროფესორის ასისტენტობა (10 კრედიტი) • ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია (5 კრედიტი) • კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და სტატისტიკა (5 კრედიტი) • კვლევის თვისებრივი მეთოდები (5 კრედიტი) • სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები (5 კრედიტი) 2. **არჩევითი სასწავლო კომპონენტები შეადგენს 10 კრედიტს (ECTS)** : • მეცნიერების მენეჯმენტი • SPSS-ის კურსი დოქტორანტებისთვის • სწავლების და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში • თანამედროვე დებატები ფსიქოანალიზზე - თეორია, ცნებები, პრაქტიკა • ფსიქოლოგიური აზროვნების განვითარება–ძირითადი თეორიული მოდელების ჩამოყალიბების საფუძვლები და პერსპექტივები • თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ში ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი. **კვლევითი კომპონენტი** კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა: • 2 კვლევითი პროექტი (სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში) • სადისერტაციო ნაშრომი სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1 და 2 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დისერტაციის დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 სემესტრისა.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანე	პროფესორი თამარ გაგოშიძე

ლები /კოორდინატორი	პროფესორი იამზე კუტალაძე კოორდინატორი ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოლოგია“ სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს: ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ფსიქოლოგიის რომელიმე დარგში/ქვედარგში; ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სოციალურ მეცნიერებებში; ✓ დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** ✓ დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია; ✓ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (ცოდნის დამადასტურებული სერთიფიკატის წარმოდგენა, რომელიც აღიარებული უნდა იყოს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ან თსუ-ს მიერ ორგანიზებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში); ✓ დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს ან ჩააბარებს თსუ–ს მიერ ორგანიზებულ წერილობით გამოცდას ქართულ ენაში. ✓ დოქტორანტობის კანდიდატს აქვს პოტენციური ხელმძღვანელის რეკომენდაცია/თანხმობა; ✓ დოქტორანტობის კანდიდატს შემუშავებული აქვს კვლევითი თეზისი, რომელსაც წარადგენს სადოქტორო პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან; ✓ დოქტორანტობის კანდიდატი წარსდგება გასაუბრებაზე სადოქტორო პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან. ✓ შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოლოგია“ მობილობის წესით ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით (იხ. დანართი 1). დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.
საგანმანათლებლო	სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგია“ ეყრდობა თსუ-ის მისიას და მიზნებს.

პროგრამის მიზანი	**სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ფსიქოლოგია“ მიზანია:** • მაღალკვალიფიციური პროფესიონალის მომზადება, რომელსაც შეუძლია ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირება, მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებით. • შესაბამისი კომპეტენიების მქონე მაღალკვალიფიციური მკვლევრის მომზადება, რომელსაც შესწევს უნარი ჩაატაროს ფსიქოლოგიის სფეროში კვალიფიციური კვლევა, ახალი სამეცნიერო იდეებისა და პრაქტიკული ინოვაციების შემუშავება, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომის შექმნა; • ფსიქოლოგიის დარგში აკადემიური სფეროს და დასაქმების ბაზრისათვის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის განვითარებას და სამეცნიერო სიახლეების დანერგვას სასწავლო პროცესში.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება **უნარები** **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**	ფსიქოლოგიის დოქტორი: • კრიტიკულად აფასებს და შემოქმედებითად განიხილავს თანამედროვე ფსიქოლოგიის გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს; • უახლეს მიღწევებზე დამყარებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, კრიტიკულად განიხილავს ფსიქოლოგიის სფეროს კონკრეტულ დარგში არსებულ გამოწვევებს, თეორიულ მოდელებსა და კვლევით მონაცემებს; • კრიტიკულად მსჯელობს ახალ/თანამედროვე კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებზე; • კრიტიკულად განიხილავს ფსიქოლოგიის დარგის სწავლების თანამედროვე მეთოდებს. • დამოუკიდებლად შეიმუშავებს ფსიქოლოგიის კონკრეტულ დარგში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ინოვაციური კვლევის დიზაინს, შეარჩევს საკვლევი სფეროსთვის ადექვატურ კვლევით სტრატეგიებსა და მეთოდებს, კომპლექსურად აანალიზებს და იყენებს მიღებული შედეგებს, რომელთა საფუძველზეც ახდენს ახალი ცოდნის გენერირებას; • შეარჩევს და ამზადებს ფსიქოლოგიის დარგში სასწავლო კურსებს და დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს; • მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამართულ დისკუსიებში როგორც კოლეგების, ასევე, ფართო საზოგადოების წინაშე. • პასუხისმგებლობას იღებს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლასა და პროფესიულ განვითარებაზე, სხვათა პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე; • ხელმძღვანელობს და წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს; • ეფექტურად თანამშრომლობს და წარმართავს პროფესიულ კომუნიკაციას კოლეგებთან და დარგით დაინტერესებულ სხვა პირებთან ეთიკური ნორმების დაცვით; ახდენს პლაგიატის თვითმონიტორინგს და იცავს კვლევის ეთიკურ სტრანდარტებს.
სწავლების მეთოდები	სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან, ასევე, კვლევითი

	კომპონენტის თავისებურებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: • დისკუსია/დებატები • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება • შემთხვევის ანალიზი (Case study) • გონებრივი იერიში (Brain storming) • დემონსტრირების მეთოდი • ახსნა–განმარტებითი მეთოდი • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება • სხვა სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები - 1-ელ და მე-2 კვლევით პროექტებში.
სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი	ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს – შუალედურ (ერთ- ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 31 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტისის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება

	დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. **შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტი ამზადებს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირ განხილვა/პრეზენტაციას. მასში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი. **პროექტი 1:** საკვლევი პრობლემის დასმა, მისი ასახვა სამეცნიერო ლიტერატურაში; სადისერტაციო შრომის მეთოდოლოგია და ზოგადი სტრუქტურა. **პროექტი 2:** კვლევის ანალიზი, შედეგები და ინტერპრეტაცია. დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია: ა) Scopus-ში ან Web of Science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში - conference proceedings) - აუცილებელია მინიმუმ 1 მაინც; ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს

	შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - 91-100 ქულა; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა; საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა; დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - 41-50 ქულა; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამედიცინო და სარეაბილიტაციო დაწესებულებები, სახელმწიფო ან კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები,
სწავლის საფასური ქართველი სტუდენტებისათვის	2250 ლარი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს ფაკულტეტი ან პროგრამა თსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია თსუ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალით, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მოწვეულ იქნას სათა-ნადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, მათ შორის 8 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი. 5ასისტეტენტ პროფესორი. **<u>მატერიალური რესურსები</u>** ▪ პროგრამა ხორციელდება თსუ მესამე სასწავლო კორპუსში, საერთო ფართი - 3091.48 კვ.მ სასწავლო ფართის საერთო მოცულობა - 1213,23კვ/მ; აუდიტორიების საერთო რაოდენობა – 24 ერთეული. კომპიუტერული რესურსცენტრი – ოთახი 206 – 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ლაბორატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი; ლაბორატორია 2 – 20 ერთეული კომპიუტერი; აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. აუდიტორიები

	აღჭურვილია ტექნიკით: თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა, განახლებულია ინფრასტრუქტურა. . ▪ ასევე, კორპუსში განთავსებულია სამზარეულო პერსონალისთვის. ▪ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი), რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალას (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით; ▪ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ▪ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი: https://e-learning.tsu.ge/ ▪ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus, ScienceDirect და სხვა. https://bit.ly/3NzelAn 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და, შესაბამისად, პროგრამის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - “Web of Science (WoS) 10 ” (www.webofscience.com). “Web of Science” პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან. “Web of Science” პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. ▪ საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები. **<u>ფინანსური უზრუნველყოფა:</u>** პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში. ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა-დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. გარდა ამისა, ფაკულტეტზე მოქმედებს ყოველსემესტრული დოქტორანტთა

	საუნივერსიტეტო დაფინანსება. კონკურსის საფუძველზე 5 წარმატებული დოქტორანტი თავისუფლება სწავლების სემესტრული გადასახადისგან. დოქტორანტები ჩართულები არიან რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებსა და სადოქტორო გრანტებში.
სადისერტაციო ნაშრომის წარდგინება	დოქტორანტი სადისერაციო მუდმივ მოქმედ დარგობრივ კომისიას წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას; ასევე, ავტორეფერატის (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) 1 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს: • განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №6) • დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №7); • სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №8); • ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე; • ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე; • გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;
აკადემიური კეთილსინდისიერება	დოქტორანტმა არ უნდა გააყალბოს მონაცემები ან სხვა ინფორმაცია. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, დოქტორანტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე, სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება და/ან სტატუსის შეწყვეტა. საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს პლაგიატის შესამოწმებელ პროგრამაში.
დამატებითი ინფორმაცია **(საჭიროების შემთხვევაში)**	სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია საქართველოს და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ფსიქოლოგიის დოქტორის მომზადების სპეციფიკა (იხ. დანართი 1): • University of Zurich; Psychology (Ph.D.); Switzerland

	https://www.psychology.uzh.ch/en/studying/doctorates.html • University of Bristol; Psychology (Ph.D.); UK http://www.bristol.ac.uk/study/postgraduate/2022/life-sciences/phd-psychology-/ • Nanyang Technological University; Psychology (Ph.D.); Singapore https://www.ntu.edu.sg/education/graduate-programme/ph.d.-in-psychology • University of Pennsylvania; Psychology (Ph.D.); US https://www.psychology.uzh.ch/en/studying/doctorates.html • University of LA in California; Psychology (Ph.D.); US https://www.psych.ucla.edu/graduate/ • Columbia University, NY; Psychology (Ph.D.); US https://psychology.columbia.edu/content/graduate-program-0 • Princeton University; Psychology (Ph.D.); US https://psych.princeton.edu/psychology-graduate-program • McGill University; Psychology (Ph.D.); Canada https://www.mcgill.ca/psychology/graduate/programs-study/doctor-philosophy-phd • University of California, Berkley; Psychology (Ph.D.); US https://psychology.berkeley.edu/students/graduate-program სადისერტაციო ნაშრომების სავარაუდო თემატიკა (იხ.დანართი 1)

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგია

სწავლების საფეხური: დოქტორანტურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი თამარ გაგოშიძე, პროფესორი იამზე კუტალაძე

კოორდინატორი ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი: დადგენილება 60/2022; 26.07.2022 (დანართი 308).

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2022-2023 სასწავლო წელი

პროგრამის სტრუქტურა

180 კრედიტი (ECTS) სავალდებულო სასწავლო კურსები 40 კრედიტი (ECTS) არჩევითი სასწავლო კურსები 10 კრედიტი (ECTS)											
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სულ	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი[1]		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სემინარი ჯგუფი	პრაქტიკუმი				შემოდგომა	გაზაფხული	
	სავალდებულო სასწავლო კურსები 40 კრედიტი (ECTS)										
1	დარგობრივი სემინარი	10		15		235	250	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი
2	პროფესორის ასისტენტობა	10		45		205	250	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი; სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
3	ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია	5		30		95	125	წინაპირობის გარეშე	✓		ლალი სურმანიძე
4	კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და სტატისტიკა	5	15		30	80	125	წინაპირობის გარეშე		✓	იამზე კუტალაძე ნინო წულაია
5	კვლევის თვისებრივი მეთოდები	5	15	15		95	125	წინაპირობის გარეშე		✓	მაია მესტვირიშვილი
6	სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები	5	15	15		95	125	წინაპირობის გარეშე	✓		ია აფთარაშვილი მზია წერეთელი

[1] შენიშვნა: საჭიროებისამებრ, კურსები შეიძლება გამოცხადდეს ორივე სემესტრში.

	არჩევითი სასწავლო კურსები 10 კრედიტი (ECTS)										
7	მეცნიერების მენეჯმენტი	5	15		30	80	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გიორგი ღვედაშვილი
8	SPSS-ის კურსი დოქტორანტებისთვის	5	15		30	80	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზაზა ხეჩინაშვილი
9	სწავლების და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში	5	14	9	7	95	125	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო ლაბარტყავა მანანა მელიქიშვილი
10	თანამედროვე დებატები ფსიქოანალიზზე - თეორია, ცნებები, პრაქტიკა	5	10	10	10	95	125	წინაპირობის გარეშე	✓		მარინე ჩიტაშვილი
11	ფსიქოლოგიური აზროვნების განვითარება - ძირითადი თეორიული მოდელების ჩამოყალიბების საფუძვლები და პერსპექტივები	5		30		95	125	წინაპირობის გარეშე		✓	ლადო გამსახურდია
12	პიროვნების კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში	5	15	15		951	25	წინაპირობის გარეშე		✓	ხათუნა მარწყვიშვილი
13	თსუ-ს, საქართველოს სხვა უსდ-ის ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში გავლილი სადოქტორო სასწავლო კურსები	5	-	-	-		125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	------
	კვლევითი კომპონენტი										
	I სამეცნიერო-კვლევითი პროექტი								✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელები
	II სამეცნიერო-კვლევითი პროექტი							სამეცნიერო–კვლევითი პროექტი I	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელები
	სადისერტაციო ნაშრომი							სამეცნიერო–კვლევითი პროექტი I სამეცნიერო–კვლევითი პროექტი II	✓	✓	

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

პროგრამის თანახელმძღვანელის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი